

დოქტორანტობის კანდიდატთა საყურადღებოდ!!!

სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი აცხადებს კონკურსს
დოქტორანტურაში შემდეგი სადოქტორო კვლევის პროგრამების განსახორციელებლად:

1. „ბარეტის საყლაპავი: მეტაპლაზია–დისპლაზია–მალიგნიზაციის ეტაპების ფენოტიპური მახასიათებლები და პროგრესიის მარკერები“

- სამეცნ. ხელმძღვანელები: პროფესორი გია თომაძე

ასოც. პროფესორი გიორგი დიდავა

2. „ბავშვთა ლეიკემიების დროს გენეტიკური არასტაბილურობის როლი ახლო და შორეული გართულებების განვითარებაში“

- სამეცნ. ხელმძღვანელები: პროფესორი ასმათ შენგელაია

პროფესორი ალა ზედგინიძე

სამეცნ. კონსულტანტი ბიოლ. მეცნ. დოქტორი გიორგი ორმოცაძე

3. „რეზისტინის კლინიკური და პროგნოზული მნიშვნელობა კვების დარღვევებით მიმდინარე დემენციების დროს“

- სამეცნ. ხელმძღვანელი ასოც. პროფესორი ვერა კაპეტივაძე

სამეცნ. კონსულტანტი პროფესორი თემურ სილაგაძე

4. „ტკივილის შეგრძნების ინდივიდუალური განსხვავებათა ორგანიზმის კვებით სტატუსთან ასოცირებული კორელატები“

- სამეცნ. ხელმძღვანელი პროფესორი ირინე კვაჭაძე

5. „სეპტიური შოკით ინდუცირებული მულტიორგანული დისფუნქციის მართვის ალგორითმი ანგიოტენზინ–გარდამქმნელი ფერმენტის ინჰიბიტორების მოხმარების ფონზე“

- სამეცნ. ხელმძღვანელები: პროფესორი ლევან რატიანი

ასოც. პროფესორი ქეთევან მაჭავარიანი

6. „გულის კუნთის ზოგიერთი მორფო–სტრუქტურული თავისებურებები და მათი მნიშვნელობა რითმის და შეკუმშვის ძალის თვალსაზრისით“

- სამეცნ. ხელმძღვანელი: პროფესორი რამაზ ხეცურიანი

სამეცნ. კონსულტანტი: პროფესორი რამაზ ჩიხლაძე

7. „გულის კუნთის შეკუმშვის ძალის ასაკობრივი ცვლილებები სხვადასხვა მოქმედ ფაქტორთა გათვალისწინებით“

- სამეცნ. ხელმძღვანელი: პროფესორი რამაზ ხეცურიანი

სამეცნ. კონსულტანტი: პროფესორი ნოდარ ემუხვარი

კონკურსი მოიცავს:

ა) წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასებას,

ბ) გამოცდას სპეციალობაში და უცხოურ ენაში (ტესტირება, გასაუბრება).

შენიშვნა: უცხოურ ენაში, კერძოდ, ინგლისურ ენაში გამოცდისაგან თავისუფლდებიან ის პირები, რომლებიც წარმოადგენენ სსიპ–თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის 2019 წლის 26 ნოემბრის წარმომადგენლობითი საბჭოს #23/12 დადგენილებით დამტკიცებული „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ახალგაზრდა დოქტორანტთა წახალისებისა და დოქტორანტურაში ახალგაზრდების მოზიდვის გასაუმჯობესებელი ღონისძიებების გატარების წესის“ პირველი მუხლის „ა“ პუნქტით განსაზღვრულ ინგლისური ენის ცოდნის მინიმალური კომპეტენციის ზღვრის დონის მოქმედ სერტიფიკატს (<https://tsmu.edu/ts/content/2/50/12/30/0/0>).

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად მაძიებელმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები:

1. განცხადება თსსუ–ის რექტორის სახელზე;
2. განცხადება (სააპლიკაციო ფორმა);
3. შუამდგომლობა ბოლო სამუშაო ადგილიდან, ან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან;
4. უმაღლესი სამედიცინო განათლების და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის/დიპლომის ასლი;
5. სამეცნიერო შრომების სია თანდართული პირველწყაროებით და ქსეროასლებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
6. პირადობის მოწმობის ასლი;
7. CV ან კადრების აღრიცხვის ფურცელი (სურათით და დადასტურებული ბეჭდით);
8. ფოტოსურათის (3×4) ელექტრონული ვერსია.

9. ინგლისური ენის ცოდნის მინიმალური კომპეტენციის ზღვრის დონის მოქმედი სერტიფიკატის წარმოდგენა სავალდებულოა 35 წლამდე ასაკის იმ პირებისათვის, რომლებსაც სურვილი აქვთ კონკურსში მონაწილეობა მიიღონ სსიპ–თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის 2019 წლის 26 ნოემბრის წარმომადგენლობითი საბჭოს #23/12 დადგენილებით დამტკიცებული „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ახალგაზრდა დოქტორანტთა წახალისებისა და დოქტორანტურაში ახალგაზრდების მოზიდვის გასაუმჯობესებელი ღონისძიებების გატარების წესის“ მოთხოვნების შესაბამისად. ასეთ შემთხვევაში სერტიფიკატი გაცემული უნდა იყოს ენების ფლობის საერთო ევროპული წესის (CEFR) შესაბამისად. ამასთან, TOEFL iBT – ის მინიმალური ზღვარი შეადგენს 79 ქულას, IELTS Academic-ის - 6.5-ს, „Cambridge English“-ის - 176 ქულას; სერტიფიკატი „Cambridge English“ გაცემული უნდა იყოს დოქტორანტურაში ჩარიცხვის დროისთვის ბოლო 2 წლის განმავლობაში. იმ შემთხვევაში, თუ სერტიფიკატი „Cambridge English“ ქულა მითითებული არ არის, მაშინ დოქტორანტურაში ჩარიცხვის მსურველმა უნდა წარმოადგინოს სერტიფიკატი „Cambridge English: Advanced (CAE). ამასთან, სერტიფიკატი გაცემული უნდა იყოს დოქტორანტურაში ჩარიცხვის დროისთვის ბოლო 2 წლის განმავლობაში (<https://tsmu.edu/ts/content/2/50/12/30/0/0>).

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა საბუთები უნდა წარმოადგინონ 2020 წლის 10 ივლისიდან 10 აგვისტოს ჩათვლით (შაბათ–კვირის გარდა) ელექტრონული ფორმატით (pdf ფაილი) თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამეცნიერო მუშაობის კოორდინაციის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის სამსახურში ელექტრონულ მისამართზე: t.tkeshelashvili@tsmu.edu

n.vepkhvadze@tsmu.edu

განცხადების და სააპლიკაციო ფორმის ნიმუში თან ერთვის (დანართი 1; დანართი 2).

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამეცნიერო მუშაობის კოორდინაციის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის სამსახურს, ტელ.: 254 24 66; 555 449 396).